



ევროკავშირი
საქართველოსთვის
Human Rights 4All



თითოეული ბავშვისთვის

ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმოფხვრა სკოლაში

ბროშურა მოსწავლეებისათვის



დაასრულე
ძალადობა

პუბლიკაცია მომზადებულია სოციალური ნორმების ცვლილებისათვის მოწოდებული საკომუნიკაციო კამპანიის „დაასრულე ძალადობის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს ბავშვთა ფონდი და რომელიც მიზნად ისახავს ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ საზოგადოებრივი დიალოგის ინიცირებას. კამპანია ხორციელდება ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროგრამის „ადამიანის უფლებები ყველასათვის“ ფარგლებში.

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებები არ ასახავს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

@ გაეროს ბავშვთა ფონდი, 2018 წელი

ადამიანებს შორის ურთიერთობა სხვადასხვანაირია, მათ შორის დამოკიდებულება ყოველდღიურად უფრო და უფრო რთული და მრავალფეროვანი ხდება.

მეგობრობის, ურთიერთპატივისცემისა და სიყვარულის გვერდით, დაპირისპირება და კონფლიქტებიც ხშირია. ზოგჯერ უპირატესობის მისაღწევად ყველაზე არასწორ გზას – ძალადობასაც მიმართავენ.

უცნაური კი ისაა, რომ ხშირად ჩვენ, ადამიანები, მათზეც კი ვძალადობთ, ვინც ძალიან გვიყვარს.

დაგისვამს შეკითხვა „რატომ?“

გიფიქრია ამ რთულ საკითხზე?

შენ წინაშეა ტექსტი, რომელიც ამ პრობლემას სხვაგვარად გაგაზრებინებს.

სანამ ძალადობის შესახებ ვისაუბრებდეთ, უნდა დაიმასხოვრო მთავარი – ბავშვს აქვს უფლება დაცული იყოს ძალადობისაგან. ეს უპირობო ჭეშმარიტებაა, რომელზეც მსოფლიო დიდი ხანია შეთანხმდა.

როდესაც ერთი ადამიანი თავის ძალას თუ მდგომარეობას სხვის საზიანოდ იყენებს – ეს ძალადობაა. ყოველგვარი მოქმედება, რომელიც აზიანებს სხვას – ძალადობაა!

ძალადობამ შეიძლება ძალიან ცუდი შედეგი გამოიღოს – დააზიანოს ადამიანი ფიზიკურად (გამოიწვიოს სხეულის გარეგანი დასახიჩრება, შინაგანი ორგანოების დაზიანება...) ან ფსიქიკურად (განაპირობოს დეპრესია, შფოთვა, თვითმკვლელობა...).

ხშირად, ძალადობის შედეგად ადამიანი ალკოჰოლს, თამბაქოსა და ნარკოტიკებს ეძალება, იწყებს არაჯანსაღ სექსუალურ ცხოვრებას, ფიზიკურად უმოქმედო ხდება, სტრესის შედეგად ქრონიკული დაავადებები უვითარდება.

ძალადობაა საკუთარი თავისათვის ზიანის მიყენებაც,

თვითმკვლელობაც.

ადამიანის ნება, მისი

ხელშეუხებლობა, ღირსება,

თავისუფლება – ადამიანის ის

უფლებებია, რომლებიც

ძალადობისას ილახება და

ითრგუნება.

იმისათვის, რომ ძალადობისაგან საკუთარი თავი ან შენი მეგობარი

დაიცვა, აუცილებლად უნდა იცოდე მეტი, იფიქრო, გაიაზრო და შეაჩერო

ძალადობა.



რა არის ძალადობა? რა გამოვლინება შეიძლება ჰქონდეს მას?

ფიზიკური

ფიზიკური ძალადობა ყველაზე თვალსაჩინო, ადვილად შესამჩნევია და ის შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს:

- ბავშვის ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან ბავშვის სხვაგვარი დასჯა, რომელიც ტკივილს იწვევს.
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკვდილს. არავის აქვს უფლება დააზიანოს ბავშვის ჯანმრთელობა, ჩაკეტოს სახლში ან სხვაგან, იძალადოს მასზე. როდესაც ბავშვი ავადაა, ის აუცილებლად უნდა აჩვენონ ექიმს, მან უნდა მიიღოს სამედიცინო მომსახურება. ეს მისი უფლებაა.



ფსიქოლოგიური

აღბათ ამ სახის ძალადობას ყველაზე ხშირად ხვდები. ფსიქოლოგიური ძალადობაა შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ბავშვის პატივისა და ღირსების შელახვას ან მის დაშინებას.

აქედან გამომდინარე, თუ ბავშვს დასცინიან, ცუდი სიტყვებით მიმართავენ, ამცირებენ, აშინებენ, ემუქრებიან, ის ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლია.



სექსუალური

სექსუალური ძალადობა გამოიხატება ბავშვთან ძალადობრივი სექსობრივი კავშირით, მუქარისა და მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით.

ძალადობაა აგრეთვე სრულწლოვანის მიერ 16 წლამდე ბავშვთან სექსობრივი კავშირი, მის მიმართ სექსუალური ხასიათის გარყვნილი მოქმედება.



იძულება

ძალადობის ეს ფორმაც საკმაოდ ხშირია, ყურადღებით იყავი!

- ბავშვის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე მოქმედება, რომელიც მისი უფლებაა.





- ბავშვზე ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედება, რომლის მიზანი საკუთარი სურვილის საწინააღმდეგო მოქმედებაა.

- იძულებითი ქორწინება, ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა, ნივთიერებათა ავად მოხმარება, მოწყალეების თხოვნა, ბავშვის ჩართვა შრომით საქმიანობაში (მაგალითად, წვრილმან ვაჭრობაში), რომელიც იწვევს მისი საბაზისო უფლებების (განათლების, ჯანსაღი ფიზიკური და მენტალური განვითარების) შეზღუდვას.

- იძულებად ჩაითვლება ბავშვის შრომით მოპოვებული თანხის მთლიანი ან/და ნაწილობრივი მითვისება. ბავშვი უნდა სწავლობდეს, ვითარდებოდეს, თავისუფალ დროს თვითონ გეგმავდეს. თუ მას აიძულებენ იმუშაოს, მოწყალეება ითხოვოს, გააკეთოს რაღაც, რისი სურვილიც თავად არ აქვს, ეს ძალადობაა.

უგულებელყოფა

უგულებელყოფაა, თუ მშობელი ან/და კანონიერი წარმომადგენელი¹ არ ზრუნავს ბავშვის ფიზიკური (მათ შორის, კვება, ჰიგიენა, საცხოვრისი) და ფსიქოლოგიური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, ზღუდავს მის საბაზისო განათლების უფლებას, არ იცავს საფრთხისაგან, არ აწესრიგებს დაბადების რეგისტრაციის ან/და ბავშვის პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტაციას.

უგულებელყოფა ბავშვის არ შემჩნევას ნიშნავს. უფროსი, იქნება ეს მშობელი თუ მეურვე, ვალდებულია ზრუნავდეს ბავშვისათვის პირობების შექმნაზე, მის ჯანმრთელობაზე, სიმშვიდესა და დაცულობაზე.



¹კანონიერი წარმომადგენელი არის პირი, რომელიც კანონის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე მონაწილეობს სამართლებრივ ურთიერთობაში არასრულწლოვანის ინტერესების დასაცავად. კანონიერი წარმომადგენლის მაგალითია მშობელი, როგორც არასრულწლოვანი შვილის კანონიერი წარმომადგენელი და მხარდამჭერი, მეურვე ან მზრუნველი - მშობლის არარსებობის შემთხვევაში და ა.შ.

1994 წელს საქართველო შეუერთდა გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციას². რაც იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფომ აღიარა კონვენციაში მოცემული ბავშვის უფლებების დაცვის ვალდებულება.

აღნიშნული კონვენციის მე-19 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა დაიცვას ბავშვი მშობლის, მეურვის ან სხვა ნებისმიერი პირის მხრიდან ძალადობისგან. ეს გულისხმობს შესაბამისი დებულებების შეტანას კანონში, მოსახლეობის ინფორმირებას ბავშვთა უფლებებისა და ძალადობისგან მათი დაცვის თაობაზე და სხვა თაობაზე.

ბავშვის უფლებათა კონვენცია



² გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ბავშვთა უფლებების კონვენცია 1989 წლის 20 ნოემბერს მიიღო. ის შეეხება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს - ბავშვის უფლებებს, სახელმწიფოს ვალდებულებებს და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებული ადამიანების მოვალეობებს.

რა არის დასჯა? ალბათ ბევრჯერ გიფიქრია ამაზე.

დასჯა ერთგვარი პასუხია ადამიანის არასწორ საქციელზე. დასჯა მრავალგვარია. არსებობს ბუნებრივი დასჯა. მაგალითად, თუ ადამიანი არ ჩაიცვამს ზამთარში თბილად, ავად გახდება. თუ ხელს მიიტანს ცეცხლთან, დაეწვება.

ასევე, არის საქციელი, რომელიც ისჯება კანონით. კანონი დანაშაულებრივი მოქმედებისათვის შესაბამის სასჯელს გულისხმობს.

ბავშვს „არასწორი“ საქციელის გამო სჯიან მშობლები, უფროსები თუ სკოლის თანამშრომლები.

დასჯა მიუღებელია და დამყარებულია ძალადობაზე. ამის მიზეზი ხშირად სწორი აღზრდის შესახებ უფროსების არასათანადო შეხედულებაა.

ძალადობრივი დასჯა დაუშვებელია, დაიმახსოვრე, დაიცავი თავი და მიუთითე სხვებსაც!



დასჯა ბევრნაირი შეიძლება იყოს, ზოგჯერ ის ძალიან მკაცრი და ძალადობრივია – ცემა, ყვირილი, ტელეფონის ან კომპიუტერის ჩამორთმევა, ეზოში სათამაშოდ არ გაშვება და ა.შ.

არსებობს დასჯის სხვადასხვაგვარი ალტერნატივა: საუბარი, მოსმენა, ქცევის მიზეზების დადგენა, განმარტება და ქცევის სხვა სტილის შეთავაზება, სხვა აქტივობებში ჩაბმა და ა.შ.

დასჯის შემთხვევები არა მხოლოდ ბავშვისა და უფროსების ურთიერთობაში, არამედ ბავშვებს შორისაც ხდება. არაერთხელ მომხდარა, რომ ერთ ბავშვს შეურაცხყოფა მიუყენებია მეორისათვის. მას მეგობარი გამოსარჩლებია და უცემია შეურაცხმყოფელი.

ალბათ შენც ყოფილხარ ასეთი შემთხვევის მომსწრე თუ მონაწილე. ეს მოძალადის ფიზიკური (ძალადობრივი) დასჯის მაგალითია.

დაიმახსოვრე, ფიზიკური დასჯით კონფლიქტი არ გვარდება, ხოლო საუბარს ყოველთვის შეიძლება სასურველი შედეგი მოჰყვეს.



ბულინგის შემთხვევები, სამწუხაროდ, ხშირია სკოლებში.

აღბათ ხშირად გავიგონია ეს სიტყვა, თუმცა მისი შინაარსი ყველას არ ესმის კარგად. რა არის ბულინგი?

ბულინგის შემთხვევა ერთი ადამიანის ან ჯგუფის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობა სხვა ადამიანზე, რომელიც დაუცველია.

ბულინგი შეიძლება იყოს ემოციური, სიტყვიერი და ფიზიკური.

ემოციური და სიტყვიერი ბულინგის დღეს გავრცელებული ფორმაა კიბერბულინგი, როდესაც მოძალადე ინტერნეტსა და თანამედროვე ტექნოლოგიებს იყენებს გემოქმედებისათვის.

ბულინგს, ისე, როგორც ზოგადად, ძალადობას, შესაძლოა მიძიმე და გამოუსწორებელი შედეგები მოჰყვეს. ამიტომ ყურადღებით იყავი, ნუ ჩაებმები საშიშ თამაშებში ინტერნეტით.

რატომაა ასეთი ხშირი ბავშვზე ძალადობა? იმიტომ, რომ საზოგადოება ვერ აცნობიერებს ამგვარი მოქმედების შედეგებს.

გავრცელებულია ამ საკითხთან დაკავშირებული არასწორი შეხედულებები, სტერეოტიპები, რომლებიც ხშირად მშობლებიდან შვილებს გადაეცემა.

ასე ყალიბდება არასწორი საზოგადოებრივი აზრი.

გავრცელებული მიდგომები

არასწორია	უნდა იყოს
მშობლის მიერ ბავშვზე ძალადობა ოჯახის საქმეა და ჩარევა არ შეიძლება.	ბავშვზე ნებისმიერი ძალადობა დაუშვებელია. ასეთი შემთხვევის დროს ყველა მოქალაქის მოვალეობაა სოციალურ სამსახურს აცნობოს.
ყვირილი ძალადობა არ არის.	ყვირილი ძალადობაა. ის ბავშვს აშინებს, ლახავს მის ღირსებას და პროტესტის გრძნობას იწვევს.
მსუბუქი წამორტყმა ძალადობა არ არის.	მსუბუქი წამორტყმა ძალადობაა. ის შეურაცხმყოფელია ბავშვისთვის და თრგუნავს მას.
მშობელი ფიქრობს, რომ ბავშვი არის პატარა და მის მაგივრად უნდა გადაწყვიტოს, რადგან მან უკეთ იცის, რა სჭირდება ბავშვს!	მშობელი ფიქრობს, რომ ყოველთვის უნდა ჰკითხოს შვილს, იქნებ მას უკეთესი იდეა აქვს, დროა, ის თავად მიეჩვიოს მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში მონაწილეობას.



არასწორია

უნდა იყოს

კარგი ბავშვი ისეთია, როგორც ყველა.

ყველა ბავშვი უნიკალურია. ბავშვის ინდივიდუალიზმი გასათვალისწინებელია.



ძალადობა ცუდია, მაგრამ ხანდახან საჭიროა.

ძალადობა დაუშვებელია. მან მოძალადეს შეიძლება მოკლევადიანი „წარმატება“ მოუტანოს, მაგრამ მისი უარყოფითი შედეგი ბავშვზე აუცილებლად იჩენს თავს.

მამა იმიტომ სცემს, რომ ბავშვისთვის კარგი უნდა.

მამა უნდა აცნობიერებდეს, რომ ბავშვის ცემა დაუშვებელია, ასეთი ქმედება კარგ შედეგს ვერასდროს გამოიღებს.

ჩემი შვილი არასწორად იქცევა. მეზობელი ამას ხედავს. ახლა შენიშვნის მიცემა არ გამოიღებს შედეგს. აჭობებს, შვილს მოგვიანებით დაველაპარაკო, მაგრამ მეზობელი იფიქრებს, რომ ბავშვს ცუდად ვზრდი, ამიტომ ახლავე დავსჯი.

მე ვხედავ ჩემი შვილის შეცდომებს და ყველაზე ხელსაყრელ დროს შევარჩევ რეაგირებისთვის. თან ისე, რომ ბავშვსაც გავესაუბრო და ღირსება არ შევლახო. სავარაუდოდ, ასეთი საქციელის მიღმა რაღაც პრობლემა იმალება.



ბავშვები არიან, ერთმანეთს მეტსახელებს არქმევენ. რა მოხდა მერე?

დამამცირებელი მეტსახელების შერქმევა ძალადობაა. ეს დამამცირებელია ბავშვისათვის.

ჩემი კლასელები ვანოს დასცინიან. მას განსხვავებული გარეგნობა აქვს. მე ეს არ მეხება. ჩემი საქმე არ არის.

ჩემი კლასელები ვანოს დასცინიან. მას განსხვავებული გარეგნობა აქვს. ის ძალადობის მსხვერპლია. აუცილებლად უნდა ვილოწო რაზე.


ჩემი მეგობარი მაიძულებს უღირსი საქციელის ჩადენას. ასე რომ არ მოვიქცე, იფიქრებს, რომ ცუდი მეგობარი ვარ.

ჩემი მეგობარი მაიძულებს უღირსი საქციელის ჩადენას. მე ცუდი მეგობარი ვიქნები თუ არ ვეტყვი, რომ ეს უღირსი საქციელია და ავცევი მას.

ვის მივმართოთ ძალადობის შემთხვევაში?!

თუ შენ ან შენი მეგობრის მიმართ განხორციელდა ან ხორციელდება ძალადობა, თუ გაქვს ეჭვი, რომ შენი მეგობარი, თანაკლასელი ძალადობის მსხვერპლია, აუცილებლად მიმართე ზრდასრულ ადამიანს, რომელსაც ენდობი - **მშობელს, მასწავლებელს, მანდატურს.**

გარდა ამისა, ძალადობის შესახებ ინფორმაცია ტელეფონით შეგიძლია შეატყობინო შემდეგ უწყებებს:



შინაგან საშვეთა სამინისტროს
გადაუდებელი სიტუაციების
ოპერატიული მართვის
ცენტრი:

112

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური:

(995 32) 2 200 220 (3335)

სოციალური მომსახურების
საბაგენძო:

1505

ადამიანთ ვაჭრობის (ტრაფიკინგის)
მსხვერპლთა, დაზარალებულთა
დაცვისა და დახმარების სახელმწიფო
ფონდის ცხელი ხაზი:

116-006

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის
ბავშვთა დახმარების ცხელი ხაზი:

116 111

ან 2 421- 422



ძალადობისგან ბავშვის დაცვა ევალუბა:


მშობლებს



სახელმწიფოს



სოციალური მომსახურების
სააგენტო



პოლიცია



სამედიცინო დაწესებულებები



საგანმანათლებლო
დაწესებულებები

იცოდეთ, რომ ძალადობისგან შენი დაცვა სახელმწიფოს ვალია. საგანმანათლებლო დაწესებულებები, პოლიცია და სამედიცინო დაწესებულებები ინაწილებენ დაცვის ფუნქციას, მაგრამ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის ინფორმაციის მიწოდება თითოეული მათგანის მთავარი მოვალეობაა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ თითოეულმა მოქალაქემ დაუყოვნებლივ იმოქმედოს ბავშვზე ძალადობის გამოვლენისას.

როდესაც ორი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის ინტერესი თუ შეხედულება ერთმანეთს უპირისპირდება, წარმოიქმნება კონფლიქტი. კონფლიქტი შეიძლება გადაიჭრას ძალადობრივი ან მშვიდობიანი გზით. ძალადობრივ გზას ბევრი პრობლემის შექმნა შეუძლია, ამიტომ ნებისმიერი კონფლიქტი აუცილებლად მშვიდობიანად უნდა მოგვარდეს. კონფლიქტის მშვიდობიანად გადაჭრის ძირითადი პრინციპებია:

არ არსებობს გამთავალი სიტუაცია
და გადაუჭრელი პრობლემა.

ყოველთვის შეიძლება ორი მხარე შეთანხმდეს.

პრობლემის მოგვარებისას მნიშვნელოვანია,
რომ არავის დარჩეს იმის შეგრძნება,
რომ მას უსამართლოდ მოექცნენ.



სიტუაციის მიხედვით სწორად
შერჩეული სტრატეგია წარმატების გარანტიაა.

პრობლემის მოგვარების სტრატეგიები:

1. გაცლა

3. კომპრომისი

2. შეგუება

4. კონკურენცია

5. თანამშრომლობა

კონფლიქტის გადაჭრის სტრატეგიაა

1. მხარეთა მოთხოვნების გაანალიზება
2. კონფლიქტის არსის განსაზღვრა (რბთომ ხდება კონფლიქტი)
3. კონფლიქტის გადაჭრის სხვადასხვა გზის მოძებნა
4. გადაჭრის გზების შეფასება მხარეების მიერ (მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა)
5. კონფლიქტის გადაჭრის გზის არჩევა
6. კონფლიქტის გადაჭრის ეფექტიანობის გაანალიზება



კონფლიქტის გადაჭრის 4 ნაბიჯი

1 იზიარება

- ბავშვს რეაგირების ნაცვლად
- ტაიმაუტის³ აღება დასაფიქრებლად მშვიდ გარემოში

2 საუბარი კონფლიქტში ჩაბმულ ყველა პირთან

- გაუზიარე, რას გრძნობ და მოუსმინე, რას გრძნობენ ისინი
- აიღე შენი წილი პასუხისმგებლობა
- გაუზიარე სხვებს რისი გეგმეები გაქვს



3 დათანხმდი გადაწყვეტაზე „გამორჩევა-გამორჩევა“

- ჩამოწერე იდეები
- აირჩიე ყველაზესაუკეთესი მისაღები გადაწყვეტილება

3 განიხილე პრობლემა კლასის კრებაზე

- გაიარე კონსულტაცია ყველასთან
- შეაბრუნე იდეები ყველასთან



ილაპარაკე, აუცილებლად ილაპარაკე ყველა პრობლემაზე, საუბარი აუცილებლად გამოაჩენს საუკეთესო გამოსავალს.

³ ტაიმ აუტი - ხანმოკლე შესვენება



**დაასრულე
ძალადობა**